პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 68 (11374)
სამშაბათი
24
მარტი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობა

28 მარტს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობამ. ყრილობას ესწრება 1275 დელეგატი.

დილის 10 საათია. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ს. იბნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი. დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ.

ყრილობას ხსნის საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. გრიშინი.

მჭუთრე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

მტკიცდება დღის წესრიგი.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ი. კირიჩენკოს, რომელიც, საც ყრილობის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან. ამხ. კირიჩენკომ წაიკითხა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება XII ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობისა და სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ საბჭოთა კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობას, ჩვენი ქვეყნის გმირ მუშათა კლასს, სახელოვან საბჭოთა ინტელიგენციას, პროფკავშირების ყველა წევრს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს.

საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 50 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს, ჩვენი პარტიის საიმედო დასაყრდენი არიან კომუნიზმისათვის ბრძოლაში. პროფესიული კავშირები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეწევიან ბრძოლას სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. პროფკავშირების შესანიშნავი დამსახურებანი საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში აღნიშნულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა ადამიანები უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით შეუდგნენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა. შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა წარმატებით განხორციელება საშუალებას მისცემს ჩვენს ხალხს მიაღწიოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების დროს სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფაში, იმ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ და გავუსწოროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის. პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, მთელი მათი პრაქტიკული საქმიანობა მიზნად ისახავს იმას, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით სულ უკეთ და უკეთ ცხოვრობდნენ, რომ რაც შეიძლება სრულად კმაყოფილდებოდეს მათი მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხელფასის, პენსიით უზრუნველყოფის შემდგომ ზრდას, კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლა-ინტერნატების, სბავშვო დაწესებულებების ფართო მშენებლობას. სსრ კავშირში შემოღებულ იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა, მიღწეულ იქნება ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

საბჭოთა პროფკავშირების ყველაზე მთავარი, ყველაზე არსებითი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ მოახდინონ მშრომელთა ფართო მასების მთელი ძალების მობილიზაცია პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმისა და 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ თვითეულმა საწარმომ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სარემონტო-ტექნიკურმა სადგურმა მიაღწიოს იმ მიჯნებს, რომლებიც მათ უნდა აიღონ ამ შვიდწლედში. საჭიროა განვავითაროთ ჩვენი დროის შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა შეჯიბრება.

პროფკავშირები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით ეხმარებოდნენ მუშებს მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში, აქტიურად უჭერდნენ მხარს წარმოების მოწინავეებს, ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, ავრცელებდნენ მათს გამოცდილებას. პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა იბრძოდნენ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვისათვის, ხელს უწყობდნენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დაუშრეტელი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში განუზომლად იზრდება პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა, როგორც მართვის და მეურნეობის გაძღოლის სკოლისა, კომუნიზმის სკოლისა. ამასთან დაკავშირებით პროფესიულმა კავშირებმა მაქსიმუმი ენერგია უნდა გამოიჩინონ იმისათვის, რომ მილიონობით მშრომელნი ჩაბან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, სოციალისტური წარმოების, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეტ ინიციატივასა და სიმტკიცეს იჩენდნენ მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, მტკიცედ ადევნებდნენ თვალყურს შრომის კანონმდებლობის დაცვას, აძლიერებდნენ საზოგადოებრიობის კონტროლს საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, საცხოვრებელი ფართობის განაწილებისადმი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი, მოსახლეობის სამედიცინო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი. ბევრ რამეს აკეთებენ და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ პროფკავშირებს მუშა ქალებისათვის, დედებისათვის. მათი წმიდა მოვალეობაა ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ მშრომელ ქალებს ბავშვთა აღზრდაში, აფართოებდნენ სბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერთა ბანაკების ქსელს და აუჯობესებდნენ მათს მუშაობას.

პროფესიული კავშირების მთელი საქმიანობა გამსჭვალული უნდა იყოს ყოველდღიური ზრუნვით მუშათა და მოსამსახურეთა აღზრდისათვის კომუნისტური შეგნებულობის, თავიანთი მოვალეობებისადმი, სოციალისტური საკუთრების დაზოგვისა და დაცვისადმი პატიოსანი და თავდადებული დამოკიდებულების სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი, უძრაობისა და რუტინისადმი, დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდა თაობის აღზრდას, დაბეჯითებით უნერგავდნენ ახალგაზრდობას შრომის, თავისი პროფესიის სიყვარულს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნაში, რომლის მიზანია სწავლების შეერთება ნაყოფიერ შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

პროფესიული კავშირები მხოლოდ იმ პირობით შეძლებენ წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი დიდი ამოცანები, თუ შემდგომ განავითარებენ პროფკავშირულ დემოკრატიას, პროფკავშირთა ყველა წევრის ინიციატივასა და თვითმოქმედებას, აამაღლებენ მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონეს, გაშლიან კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც მუშაობაში ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და აღმოფხვრის ნაცად საშუალებას.

საბჭოთა პროფკავშირები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა აფართოებდნენ თავიანთ ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირებთან, მთელი ენერგიით განამტკიცებდნენ მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პროფკავშირები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, დაუცხრომლად იმუშავებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის მობილიზაციისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით შესასრულებლად, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმის გასამარჯვებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ მუშათა კლასსა და სახელოვან ინტელიგენციას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გაშკირეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს, გაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სკკპ გაშკირეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან გაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას მისი სახელოვანი 40 წლისთავის დღეს.

1919 წლის 23 მარტს გამოქვეყნდა დეკრეტი გაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი. ეს დღე ეროვნული დღესასწაული გახდა გაშკირეთის მშრომელთათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო გაშკირელი ხალხის პოლიტიკურ უუფლებობასა და ჩაგვრას, დააყენა იგი სამეურნეო და კულტურული განვითარების ფართო გზაზე.

გასული ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა გაშკირეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით უდიდესი სოციალისტური გარდაქმნები მოახდინეს.

რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი მრეწველობა და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ნავთობის, გაზის, მანქანათმშენებელი, ქიმიური, ელექტროტექნიკური და მრეწველობის სხვა დარგების ასობით საწარმო. ამ ხნის განმავლობაში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის 150-ჯერ გადიდდა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აითვისეს ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი უამრავი და ნასვენი მიწა. მნიშვნელოვნად გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

სწრაფად იზრდება და ვითარდება გაშკირი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ოქტომბრის რევოლუციამდე გაშკირეთის მოსახლეობა თითქმის მთლიანად უწიგნური იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო ცოდნის კარი მშრომელებს. ახლა რესპუბლიკაში მუშაობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, ათასობით სკოლა, თეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები. გაიზარდა ეროვნული ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები. შეიქმნა გაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებნი.

მთელი ეს წარმატებანი კომუნისტური პარტიის ლენინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის შედეგია.

ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა გაშკირეთს სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი შვიდწლიანი გეგმა, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ. რესპუბლიკის მშრომელებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განავითარონ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, უფრო ფართოდ გააჩაღონ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის და 1959 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, გაადიდონ ნავთობისა და გაზის მოპოვება, ჩარხებისა და სხვა პროდუქციის გამოშვება, მკვეთრად გაადიდონ ხორცისა და რძის წარმოება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ გაშკირი ხალხი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების ოვის.

გაუმარჯოს გაშკირეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო** — **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

გარდამავალი დროშები კოლმეურნეობებს

საჩხერე. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოციალისტური შეჯიბრების რაიონულმა ეიურომ შეაჯამა გასული წლის შედეგები. 1958 წლის საერთო შედეგების მიხედვით ეიურომ გამარჯვებულად ცნო სოფელ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი), რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ამავე კოლმეურნეობას რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნა მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის მოყვანისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მებაღეობა-მევენახეობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო საბუშაოთა ავროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სოფელ ორღულის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ჭიღლაძე). მას გადაეცა საქართველოს კომპარტიის, საჩხერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ჯილდოების საპასუხოდ სხვიტორელმა და ორღულელმა კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს.

იზრდება სამკურნალო დაწესებულებათა ძალი

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). ამას წინათ ახალი კეთილმოწყობილი აფთიაქები გაიხსნა სოფელ წითელხევსა და ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. სოფლის საექიმო უბნებთან მოეწყო სამი მოძრავი აფთიაქი.

სოფელ დიმში ააგეს საექიმო უბნის ახალი შენობა. აქ ეწყობა ფიზიოთერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტები. წელს გაფართოვდება წითელხევის სასოფლო საავადმყოფო.

გეგმების შესრულება

აბაშა რაიონის კოლმეურნეობებმა 15 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 169 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით, კვერცხისა — 162 პროცენტით. (საქმენი).

* * *

თელავი რაიონმა 15 მარტისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1 კვარტალის გეგმა: ხორცისა — 115 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 114 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქმენი).

მილიონების ეკონომიისათვის

გვექნება მეტი ქსოვილები, ჩარხები, ნავთობგაჯროდუქტები

წელიწადში მილიონი

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო სახსრების, მასალების, ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვისათვის.

შვიდწლედის პირველ ორთვენახევარში საწარმომ გადაჭარბებით გაანაღდა დავალება და ათასობით მანეთი დაზოგა.

ქარხნის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ შვიდწლედის დავალება ექვს წელიწადში გაანაღდოს, ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 30 პროცენტით. საწარმოს კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა მასალების ეკონომიური ხარჯვით, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 7 მილიონი მანეთი შეიტანოს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მოწინავე მქსოველი მაყვალა ბარათაშვილი იბრძვის ნართის ეკონომიისათვის და ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 118-120 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. კიკვაძისა (საქმესის ფოტოქრონიკა).

ათი დღით ადრე

ახალციხე. (საკ. კორ.). № 1 შახტის კოლექტივმა (უფროსი დ. დობორჯგინიძე) ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა. განსაკუთრებით დაწინაურდა საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო ოსტატი ა. ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეები ქვანახშირის მოპოვების დღიურ დავალებას 110-117 პროცენტით ანაღდებენ. მაღალნაყოფიერად შრომობენ ს. გალუსტიანი, გ. სინაძე, ნ. ტკეშელი, რომლებიც ნორმის გადამეტებით სამ-სამ ტონა ქვანახშირს იღებენ.

თვის ბოლომდე ახალციხელი მეშახტეები სამშობლოს გეგმის გადამეტებით 2.500 ტონა ქვანახშირს მისცემენ.

ამდიდრებენ ფონდს

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში გაიმართა საწარმოო თათბირი. ქარხნის დირექტორმა ზ. ფირიაშვილმა თათბირის მონაწილეებს მოაგონა შვიდწლედში ბათუმელ მენავთობეთა წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანები, დაწვრილებით გააცნო ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ძვირფასი თაოსნობა.

მე-3 საამქროს უფროსმა ინჟინერმა ბ. იანკილევიჩმა, მეორე საამქროს უფროსმა მ. კრასნოლობოვმა, მეცხრე საამქროს უფროსმა ქ. მახარაძემ და სხვებმა მხურვალედ მოიწონეს ქუთაისელთა ინიციატივა და კონკრეტული წინადადებები შეიტანეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, სათბობის, ორთქლის, ელექტროენერგიის ეკონომიის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებზე. აღინიშნა, რომ შვიდწლედის ფონდის შექმნაში ღირსეული წვლილის შეტანა შეუძლიათ წარმოების ნოვატორებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

საქმიანი მსჯელობის შემდეგ მენავთობეებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებანი: დაზოგონ 56 ათასი მანეთის სათბობი, 30 ათასი მანეთის ელექტროენერგია, 85 ათასი მანეთის გოგირდმჟავა, 40 ათასი მანეთის კაუსტიკური სოდა; ნავთობპროდუქტების დანაკარგების შემცირების გზით დაზოგონ 120 ათასი მანეთი, ხოლო ნავთობპროდუქტების გამოსავლიანობის გადიდებისა და დაკომპაუნდების გზით — 650 ათასი მანეთი, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით — 810 ათასი მანეთი. ამრიგად, მენავთობეებმა გადაწყვიტეს წელს შვიდწლედის ფონდში შეიტანონ სულ მცირე მილიონ 791 ათასი მანეთი.

საამქროებში უკვე გაიშალა მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მესამე საამქროს კოლექტივმა შვიდწლედის ფონდში უკვე გადარიცხა 30 ათასი მანეთი.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 19 მარტის ბრძანებულებით **საქართველოს სს რესპუბლიკაში** დააჯილდოვა:

ლენინის ორდენით

გერაძე შალვა სტეფანეს ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ბიტუმის დანადგარის ოპერატორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ბარბაქაძე** ვახტანგ სოლომონის ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს მირზაანის ნავთობსარეწის გამგე.
2. **ჯიქია** გრიგოლ ვიქტორის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ზეთის საწმენდი დანადგარის ოპერატორი.
3. **მამნიაშვილი** ნიკოლოზ ილიას ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ბურღვის კანტორის საცხენისის უბნის ბურღვის ოსტატი.
4. **ფირიაშვილი** ზაქარია არტემის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორი.
5. **ჭრიკიშვილი** ზაქარია ქიტესას ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ბურღვის კანტორის საცხენისის უბნის ბურღვის ოსტატი.
6. **ფირიაშვილი** ზაქარია ალექსანდრეს ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ბურღვის კანტორის საცხენისის უბნის მბურღავი.
7. **ჩიქოვანი** სერგი სისაკის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კრეკინგ-დანადგარის ოპერატორი.

„ბაპაპიო ნიშნის“ ორდენით

1. **ბულეიშვილი** დავით ამბროსის ძე — საბჭოთა კავშირის ნავთობის სამეცნიერო-საკვლევი გეოლოგიურ-საზვერი ინსტიტუტის საქართველოს კომპლექსური ნავთობის ექსპედიციის უფროსი.
2. **დელიბაშვილი** ოთარ ალექსის ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ნორიოს სარეწის ნავთობის ამოღების ოპერატორი.
3. **დოლიძე** სერგი სოლომონის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგი.
4. **კანდელაკი** თენგიზ ალექსანდრეს ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ბურღვის კანტორის საცხენისის უბნის მბურღავი.
5. **მკრტჩიანი** სერგი სისაკის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ლაბორატორიის უფროსი.
6. **პრიხოდკო** ნიკოლოზ გრიგოლის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ბიტუმის ლაბორატორიის ოპერატორი.
7. **ხომხოშვილი** ზაქარია გიორგის ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს საქართველოს გეოფიზიკური ექსპედიციის მემანქანე-მეჯალამბრე.
8. **თამაზაშვილი** იოსებ ლაზარეს ძე — თბილისის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ნავთობის გადამუშავების ოპერატორი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **მათიაშვილი** ანტონ მიხეილის ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ბურღვის კანტორის საცხენისის უბნის მბურღავი.
2. **ტუხაშვილი** გიორგი ხატოს ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს საქართველოს გეოფიზიკური ექსპედიციის გრავიმეტრიული პარტიის უფროსი.
3. **შავლისი** პავლე ნიკოლოზის ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ზეინკალი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ბაკურიძე** სიმა ისკენდერის ასული — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი.
2. **მიჟინსკი** გრიგორ კუზმას ძე — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის თბოელექტროსადგურის უფროსი მექანიკოსი.
3. **პაპიაშვილი** თენგიზ ილიას ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს საქართველოს გეოფიზიკური ექსპედიციის კომპლექსური სარეწაო-გეოფიზიკური პარტიის ინჟინერ-ოპერატორი.
4. **ჭანკლაელიშვილი** ვალიკო რაჟდენის ძე — ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს მირზაანის ნავთობსარეწის ნავთობის ამოღების ოპერატორი.

ᲨᲐᲝᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲒᲨᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). მძვინვარებს ზამთარი შაორის მთებში. განუწყვეტლივ ბარდნის, ყველაფერი სქელ თოვლს დაუფარავს. ეს ერთობ აძნელებს ქვანახშირის მაძიებელთა მუშაობას. მაგრამ სიძნელეები როდი აშინებთ საბჭოთა ადამიანებს.

ქვანახშირის მაძიებლები ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ დაზუსტონ შაორის „შავი ოქროს“ მარაგი. საბადოს გამოკვლევის საქმეში თავი ისახელეს ლრმა ბურღვის გამოცდილმა ოსტატებმა ა. გოგოლაშვილმა და მ. ჯიოევმა, ცვლის ოსტატმა ნ. სვანიძემ, მებულდოზერემ ი. გოლოზუბოვმა, ტრაქტორისტმა ნ. ეფიმენკომ, ავტომანქანის მძღოლმა ა. ქემოკლიძემ.

როგორ ხვდებით საგაზაფხულო თესვას?

თესვისათვის მზადება

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ანაგის კოლმეურნეობებში წარმატებით ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეობა „შრომაში“ წელს სიმინდს 490 ჰექტარზე დათესავენ. მზად აქვთ კარგი სათესლე მასალა, შეკეთებულია ტრაქტორები და სათესი მანქანები. მექანიზატორები გ. დემეტრაშვილი, ვ. არჩვაძე, გ. ბიჭიაშვილი და სხვები გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ.

მცხეთა. ნიჩბისელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს დათესონ 50 ჰექტარი სიმინდი, სასილოსედ კი—95 ჰექტარი. მომარაგებული აქვთ კონდიციური თესლი. კარგად არის მოვლილი მუშა პირუტყვი. წელს ნიჩბისელები აითვისებენ 10 ჰექტარ ყამირ მიწას.

გ. ᲫᲔᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რატომ ფერხდება ტრაქტორების შეკეთება

— ყურადღებას ვინ გვაქცევს, გუშინაც თითქმის მთელ დღეს არაფერი გაკეთებულა ჩემი ტრაქტორის შეკეთებისათვის.

— ასე ვართ ჩვენც! ხან ერთი, ხან მეორე მიზეზით ფერხდება ტრაქტორის შეკეთება. ჩვენთან კი უკვე მინდვრის სამუშაოები გაჩაღდა.

ასეთ საუბარს მივუსწარით სამთავისის სარემონტო-ტექნიკური სადგურის სახელოსნოში.

ამ სიტყვებში სიმართლეა. ჭიანურდება ტრაქტორების შეკეთება, რასაც შეიძლება მოჰყვეს კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენა. მაგრამ ეს არ აღელვებთ სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს შ. ხორიაშვილს, მთავარ ინჟინერს დ. სილაგაძეს და სახელოსნოს გამგეს ყ. კაპანაძეს.

სახელოსნოში დგას სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეობის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი. თვე და ათი დღეა აკეთებენ, მაგრამ არა ეშველა რა! მიზეზი?

— თებერვალშივე შემეძლო შეკეთებიდან გამეყვანა ტრაქტორი, — ამბობს ტრაქტორისტი ვ. ტორიკაშვილი, — მაგრამ ხელისშეწყობა და საჭირო ნაწილები არა გვქონდა.

ეს ფაქტი გამონაკლისი როდია. ამიტომ არის, რომ სარემონტო-ტექნიკური სადგური ვერ ასრულებს ტრაქტორების შეკეთების გეგმას.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას მომავალ შვიდწლედში პარტიის მთავარ ამოცანებად მიიჩნია:...

იდეოლოგიურ დარგში — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა და უფროსი ყოფილა მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნების ამაღლება, მათ ... კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ — აი მთავარი და ძირითადი ამოცანები, რომლებიც ყრილობამ იდეოლოგიური მუშაობის დარგში დასახა.

ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, — მოგველინა დიდი მუშაობა მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. ყველა ქალაქსა და რაიონში გაიმართა პარტიული აქტივის კრებები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების საერთო კრებები, რომლებიც მიეძღვნა სკკპ XXI ყრილობის შედეგებს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყეს პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორებისა და მომხსენებლების თათბირები და სემინარები.

მასობრივი ტირაჟით გამოცემულია პარტიის XXI ყრილობის მასალები ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე. შემუშავებულია ყრილობის მასალების შესწავლის სანიმუშო გეგმები და ლექციების თემატიკა. პარტიული განათლების მთელი ქსელი გადაყვანილია ყრილობის მასალების შესწავლაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონებში გაგზავნა პროპაგანდისტთა ჯგუფები. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტიკური მოხსენებებს აკეთებენ ცენტრალური კომიტეტის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ აწყობენ თეორიულ კონფერენციებს, რომლებზეც ლაპარაკია მოცემული რაიონის, ქალაქის, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების შესახებ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნავს მომხსენებელი, ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ სკკპ XXI ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც დიდხანს უნდა მიმდინარეობდეს. ყრილობის მასალების შესწავლისა და ახსნა-განმარტების პირველ პერიოდში გამოვლინდა აგრეთვე ჩვენი პარტიული პროპაგანდის სუსტი მხარეები.

ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციები ყველგან ვერ უზრუნველყოფენ მის მაღალ იდეურ-თეორიულ დონეს. ზოგიერთ პოლიტსკოლასა და სემინარში მეცადინეობის ხარისხი დაბალია. მაგალითად, რა დადებითი შედეგები უნდა მოჰყოლოდა მეცადინეობას, რომელიც მოეწყო კასპის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან შექმნილ წრეებში? აქ პროპაგანდისტები იმას დასჯერდნენ, რომ მსმენელებს გაზეთიდან უკითხავდნენ მასალას, ისე რომ ერთი საკითხიც არ განუმარტავთ. პროპაგანდისტმა ვერ უპასუხა მსმენელთა კითხვაზე, თუ რა კონკრეტული ამოცანებია დასახული მიმდინარე შვიდწლედში საწარმოს წინაშე. ცხადია, რომ ქარხნის, ფაბრიკის წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების უცოდინრობა არ შეიძლება ქმედითი და მიზანსწრაფული გავხადოთ პარტიის XXI ყრილობის მასალების პროპაგანდა.

დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული ლექციური პროპაგანდა ქალაქ ფოთის პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა. პარტიული და სამეურნეო აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილი აქ ჯერ კიდევ არ შესდგომია ყრილობის დოკუმენტების შესწავლას.

ღრმა მეცნიერული დებულებანი, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ წამოაყენა კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შესახებ, კომუნიზმის პირობებში სახელმწიფოს მოსპობის შესახებ, სოციალისტური საკუთრების ფორმების განვითარების შესახებ უაღრესად ცხოველ ინტერესს იწვევს საბჭოთა ადამიანებში. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დააკმაყოფილონ ეს გაზრდილი მისწრაფება თეორიული და პოლიტიკური ცოდნისადმი, უზრუნველყონ პროპაგანდის ზემოქმედების სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება, მიიზიდონ ფართო უპარტიო მასები პარტიული განათლების სისტემაში, სერიოზული ყურადღება დაუთმონ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებას.

საჭიროა გავაფართოოთ პროპაგანდისტთა რიგები კარგად მომზადებული ამხანაგებით, მოვაწყოთ მათი სწავლა. ჩვენ გვესაჭიროებიან აღმზრდელი პროპაგანდისტები, რომლებსაც ღრმად აინტერესებთ მშრომელთა ცხოვრების ყველა მხარე, მასებში შეაქვთ მართალი სიტყვა, ზრდიან მათ მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნისტური მორალის დიად პრინციპებზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში შეიძინეს მნიშვნელოვანი გამოცდილება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა კონკრეტულ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებთან ურღვევ კავშირში. ამ დიდ მასობრივ მუშაობას რესპუბლიკაში 80 ათასზე მეტი აგიტატორი ეწევა. მთელი რიგი საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოებს, შეხვედრებს წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მუშებსა და კოლმეურნეებს ხშირად არადროულად, მიუწვდომელი ფორმითა და ნაკლებ დამაჯერებლად განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. ჩვენი მომხსენებლები და აგიტატორები მოვალენი არიან არა მარტო შეაგნებინონ თვითეულ ადამიანს ყრილობის გადაწყვეტილებათა შინაარსი, აზრი და მნიშვნელობა, არამედ კიდევაც ასწავლონ მშრომელებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ეს გადაწყვეტილებები, დაეხმარონ თვითეულ მუშას, კოლმეურნეს, სპეციალისტს, მოსამსახურეს განსაზღვრონ თავიანთი როლი შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელს მოჰყავს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, როგორც მაგალითად, აბაშის, ხაშურის რაიონებისა, ჯეროვნად არ აფასებს კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, არ იბრძვის პოლიტიკური აგიტაციის ქმედითობისათვის, რაც უარყოფით გავლენას იხდენს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-საგიტაციო მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ეს წარმატებანი და შევინარჩუნოთ საარჩევნო კამპანიის პერიოდში შექმნილი აგიტპუნქტები, მუდმივმოქმედი გავხადოთ ისინი.

პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ მასებზე ზემოქმედების ისეთ ნაკად საშუალებას, როგორიც არის თვალსაჩინო აგიტაცია. მაგალითად, თბილისის, ფოთის ზოგიერთ ფაბრიკასა და ქარხანაში, დუშეთის, ზესტაფონის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში შეიძლება ვნახოთ ცუდად გაფორმებული, მოძველებული სტენდები, ლოზუნგები და პლაკატები.

ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის დიდი შესაძლებლობანი მოეპოვებათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ყრილობის ისტორიული დოკუმენტებისა და მასალების პროპაგანდის დარგში კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების შინაარსიანი და საინტერესო მუშაობის მაგალითი ბევრია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად როდი იყენებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობებს. ეს საყვედური პირველ რიგში ეკუთვნით პარტიის ახალქალაქის, წითელწყაროს, სტალინირის, ჯავის, შუახევის, წალკისა და სიღნაღის რაიკომებს.

რესპუბლიკაში სამი ათასზე მეტი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ეს დიდი ძალაა. ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად, უკეთესად გამოვიყენოთ კულტურის კერები პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის, ნამდვილად გადავაქციოთ ისინი მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საყრდენ ბაზებად. საჭიროა ორგანიზებულად ჩავატაროთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საზოგადოებრივი დათვალიერება, რომელიც ამჟამად ეწყობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

ახლანდელ ეტაპზე იდეოლოგიური. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული და შეხამებული ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობასთან მასებში, ხელს უწყობს მშრომელთა აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ამაღლებას, რამაც თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების წარმოშობით, კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის მოძრაობით.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ფართოდ გაავრცელონ შრომის მოწინავე მეთოდები, ნოვატორთა გამოცდილება, იბრძოლონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის წარმოებაში, დარაზმონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმოების რეზერვების ყოველმხრივ გამოყენებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ბევრი რეზერვი აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად. ავიღოთ მეჩაიეობა — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი. შარშან ცხაკაიას რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს თითქმის ათასი კილოგრამით ნაკლები ჩაის ფოთოლი, ვიდრე საშუალო მოსავალი იყო რესპუბლიკაში. ასეთი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მიზეზია მოწინავეების გამოცდილების, ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში მისი დანერგვის შეუფასებლობა. სოფელ ზანის არტელში მუშაობს ჩაის ფოთლის წარჩინებული მკრეფავი ტატიანა ტყებუჩავა. შარშან მან ჰექტარზე გაანგარიშებით მოკრიფა 25 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 12-ჯერ მეტი, ვიდრე მიღებული იყო რაიონში საშუალოდ ერთ ჰექტარზე.

ცხაკაიას რაიონის პარტიულ ორგანიზაციას რომ სათანადოდ ემუშავნა კ. ტყებუჩავას მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციისათვის, მიეღო ღონისძიებანი მათი დანერგვისათვის, უეჭველია ჩაის ფოთლის მოსავლიანობა რაიონის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ვადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ აღმავლობაში, საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის დონის ამაღლებასა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა გააჩაღეს დიდი მუშაობა, რომლის მიზანი ის არის, რომ პარტიის XXI ყრილობის დიდმა იდეებმა, მის მიერ დასახულმა ამოცანებმა, ჩვენი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭრებით შესრულებისათვის უფრო ცოცხალი, მკაფიო და საინტერესო გაშუქება ჰპოვოს.

ჩვენს პრესაში ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების პატრიოტულმა მოძრაობამ კომუნისტური შრომის ბრიგადების, შვიდწლედის ფონდის შექმნისათვის, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის უყაირათობის წინააღმდეგ და სხვა შესანიშნავმა თაოსნობამ.

ცნობილია, რომ რაც უფრო კარგად ასრულებს პრესა მის წინაშე დასახულ პროპაგანდისტულ ამოცანებს, რაც უფრო მაღალია მისი იდეური დონე, მით უფრო ძლიერია მისი ორგანიზატორული როლი.

მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდური პროპაგანდის გარდაქმნის დარგში გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, უნდა ვაღიაროთ, რომ ბეჭდური და რადიოპროპაგანდა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნებს.

ჩვენი პრესა ნაკლებ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიური მუშაობისა და კულტურული მშენებლობის საკითხებს, იშვიათად აკრიტიკებს უარყოფით მოვლენებს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, საკმაოდ არ აშუქებს მეცნიერულ ცხოვრებას.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა ვ. ი. ლენინს საბჭოთა პრესის მთავარ ამოცანად მიაჩნდა. ჩვენი გაზეთები მნიშვნელოვან მუშაობას ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრების და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის გაჩაღებაში, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ფორმალიზმია. შრომის პროგრესული მეთოდების პროპაგანდას პრესა ხშირად საგანმანათლებო პოზიციებიდან ეწევა. დაბეჭდავენ გაზეთში წერილს მოწინავე საწარმოს, კოლმეურნეობის მუშაობის შესახებ, ხოლო შემდეგში ცოტას წერენ იმაზე, თუ სად და როგორ გადაიღეს და გამოიყენეს შრომის საუკეთესო მეთოდები. გაზეთები ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო გაბედულებასა და ბოლშევიკურ პირდაპირობას იმ ნაკლოვანებათა კრიტიკაში, რომლებიც არის პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობაში.

ჟურნალებში ცოტა ქვეყნდება შინაარსიანი და საინტერესო მასალები, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, მშრომელების გმირულ შრომასა და ცხოვრებას. თანამედროვეობის აქტუალური საკითხები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ზოგიერთი ჟურნალის წამყვან თემას. ცალკეული ჟურნალები განუზომლად ბევრ ადგილს უთმობენ იმ ადამიანთა უფერულ, ზერელე საგზაო შენიშვნებსა და ნარკვევებს, რომლებიც უცხოეთში იყვნენ ტურისტებად.

გამომცემლობათა მუშაკები მოვალენი არიან უფრო აამაღლონ წიგნის პროდუქციის იდეური დონე, ამბობს მომხსენებელი, მიაღწიონ იმას, რომ გამოშვებული ლიტერატურა ემსახურებოდეს კომუნისტური მშენებლობის მაღალ მიზნებს.

მაგრამ გამომცემლობათა ზოგიერთ დირექტორსა და მთავარ რედაქტორს არ ყოფნის უნარი და პრინციპულობა საგამომცემლო გეგმების შედგენისას, რის შედეგად არის იდეურად ღარი და ნაკლებმნიშვნელოვან ნაწარმოებთა გამოცემის შემთხვევები.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, ჩვენს წრეში, უცხო, ბურჟუაზიულ შეხედულებათა შემოღწევის წინააღმდეგ. წარსულის გადმონაშთების — შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, ყოფაცხოვრებაში თავაშვებულობის, ხულიგნობის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, პირველხარისხოვანი ამოცანაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული და მატერიალისტური ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესებაში, გაძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირის საქმიანობისადმი კომუნისტური მორალის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში.

მომხსენებელმა გააკრიტიკა საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი რესპუბლიკური საზოგადოებისა და მის ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობის ნაკლოვანებანი. ბევრი ლექცია ეწყობა დაბალ იდეურ დონეზე, აუდიტორიის მოთხოვნილებისა და შემადგენლობის გაუთვალისწინებლად, რესპუბლიკაში სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან დაუკავშირებლად. ვიწროა ლექციური პროპაგანდის თემატიკა. კვალიფიციური ლექტორები იშვიათად დადიან შორეულ რაიონებში.

შვიდწლიანი გეგმა ფართო პერსპექტივებს სახავს სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებმა მეტი გამბედაობა და შემოქმედებითი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ცხოვრების მიერ დასახული ახალი ამოცანების გადაჭრაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამი ინსტიტუტის — ეკონომიკის, ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტების მუშაობა. უკანასკნელ დროს ინსტიტუტებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი მეცნიერული მონოგრაფიები, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამეცნიერო დაწესებულებანი ჯერ კიდევ სუსტად არიან დაკავშირებულნი პრაქტიკასთან, წარმოებასთან. მათს საქმიანობაში არ იგრძნობა გადამწყვეტი მობრუნება იმ ახალი აქტუალური პრობლემებისაკენ, რომლებიც გამომდინარეობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესახებ პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. ჯერ კიდევ არ არის შექმნილი კაპიტალური შრომები იმ დიდ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც საქართველოში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

სერიოზული ხარვეზებია სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში, რომლებიც ძალიან იშვიათად ვანიხილავენ საპრობლემო საკითხებს, თემატური გეგმის მიხედვით შესრულებულ სპეციალურ გამოკვლევებს, შრომებს. სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში იშვიათად მონაწილეობენ მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა თანამშრომლები, სპეციალისტები.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნით ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა სამეცნიერო დაწესებულებებში, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, დარაზმონ კოლექტივები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებში მთელი სიმწვავით ისახება უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერების ამოცანა. მაგრამ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს.

ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებაში — გაუმჯობესდა ლექციებისა და სემინარების ხარისხი, უფრო ამაღლდა სტუდენტთა მომზადების დონე, მაგრამ ამ საგნების სწავლებას ჯერ კიდევ ისეთი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებენ, როგორიც არის დოგმატიზმი, თანამედროვეობას მოწყვეტა. სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში ვხედებით ლიბერალიზმს, ფორმალიზმსა და უპასუხისმგებლობას. საკმარისი არ არის ცალკეულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია. ზოგიერთი მათგანი ჩამორჩა ცხოვრებას, იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია მასწავლებელთა კადრებს უყენებს.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელები პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მოვალენი არიან გააძლიერონ პროფესორ-მასწავლებელთა მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

საბჭოთა ადამიანების ახალ თვისებათა განვითარებაში, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით მათს აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის აქტიურად ასახავდნენ ჩვენი სინამდვილის რევოლუციურ-გარდამქმნელ პათოსს, იმ დიად გარდაქმნებს, რომლებიც ხდებოდა ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხალხის ცხოვრებასთან, მის გმირულ ბრძოლასთან სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ეს წარმატებები მიღწეულია კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვისა და ხელმძღვანელობის მეოხებით. ამ ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირის შესახებ“.

ქართველი მწერლები ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენმა მწერლებმა შექმნეს, შევიდნენ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველმა მწერლებმა ახალი შესაძენი წარმატებანი მოიპოვეს.

საქართველოს მწერალთა V ყრილობამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, კვლავ ცხადყო ჩვენი მწერლების დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ეს საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნები წავუყენოთ მათ.

პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული უდიდესი ამოცანების სიმაღლიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების განვითარების გიგანტურ ტემპს.

პარტიის XXI ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ზოგჯერ თავს იჩენს ეროვნული შეზღუდულობის ელემენტები, ყოველთვის სათანადო ძალით როდი არის ნაჩვენები წარსულის კლასობრივი ბრძოლის ხასიათი, უფრო მეტიც, ჩვენ ძველი დროის ერთგვარ იდეალიზაციასთანაც კი გვაქვს საქმე. ეს გაფრთხილება ქართველმა მწერლებმაც უნდა გაითვალისწინონ, რადგან ამგვარი შეცდომებისაგან გარანტირებული არ არის არც ჩვენი ისტორიული ჟანრის ლიტერატურა.

შეეხო რა რესპუბლიკის თეატრების საქმიანობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მათს რეპერტუარში სუსტად არის წარმოდგენილი თანამედროვე თემატიკა. მათი მუშაობის ეს სერიოზული ნაკლი გამოწვეულია ქართული საბჭოთა დრამატურგიის ჩამორჩენილობით. ამ ჩამორჩენილობის მიზეზი აგრეთვე იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი და თანამშრომლობა არ არის თეატრებსა და დრამატურგებს შორის. მართალია, უკანასკნელ ხანს მარჯანიშვილის სახელობისა და რუსთაველის სახელობის თეატრებმა დადგეს ჰ. კაკაბაძის ნიჭიერი პიესები „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“. დადებითი შეფასება მიიღო ა. აგლაძის „შავთვალა გოგონამ“ და კ. ბუაჩიძის პიესამ „ამბავი სიყვარულისა“, თუმცა ისინი მოკლებული არ არიან ნაკლოვანებებს.

ჩვენმა თეატრებმა დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა უნდა აწარმოონ დრამატურგებთან ერთად, გაახარონ საბჭოთა მაყურებელი აღმაფრთოვანებელი სპექტაკლებით თანამედროვე თემებზე.

უნდა მოწესრიგდეს თეატრალური და მუსიკალური კოლექტივების არსებული ქსელი. საჭიროა მივაღწიოთ მათი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. თეატრებმა და მუსიკალურმა კოლექტივებმა უნდა გამოიჩინონ მეტი შემოქმედებითი დაძაბულობა და მოქნილობა, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია. ეს კი ძირითადად უნდა განხორციელდეს რეპერტუარის მკვეთრი გაუმჯობესების, სპექტაკლების მხატვრული დონის ამაღლების, მაყურებელთა ფართო მასების მიზიდვის გზით.

საჭიროა გაუმჯობესდეს საქართველოს ფილარმონიის მუშაობა. ჩვენი ესტრადიდან ხშირად ისმის მოძველებული, ზოგჯერ ვულგარული, ყოველგვარ აქტუალობას მოკლებული სიმღერები, სკეტჩები, ფელეტონები. ჩვენში ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს ხალტურულ ბრიგადებს. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკურ და საოლქო ფილარმონიათა მუშაკებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, გააჯანსაღონ საესტრადო რეპერტუარი.

დიდი გაქანება უნდა მიეცეთ თვითმოქმედ კოლექტივებს, როგორც მშრომელთა მხატვრული აღზრდის მასობრივ ფორმას. ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება ხელოვნების მუშაკთა მხრივ მოითხოვს დიდ უურადღებას, დახმარებასა და შეფობას თვითმოქმედი კოლექტივებისადმი.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა შემოქმედებითი. მუშაობა და საწარმოო დისციპლინა, უნებად ირღვევა ფილმების გამოშვების ვადები, არარაციონალურად იხარჯება სახსრები. ამ უკანასკნელ ხანს სტუდიის მიერ გამოშვებულმა კინოსურათებმა „მანანამ“ და „ორმა ოჯახმა“ ვერ დააკმაყოფილა მაყურებელი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და სტუდიის დირექციამ შემოქმედებითი კოლექტივის მთავარი ყურადღება უნდა

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას მომავალ შვიდწლედში პარტიის მთავარ ამოცანებად მიიჩნია:...

იდეოლოგიურ დარგში — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა და უფროსი ყოფილა მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნების ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ — აი მთავარი და ძირითადი ამოცანები, რომლებიც ყრილობამ იდეოლოგიური მუშაობის დარგში დასახა.

ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, — მოგველინა დიდი მუშაობა მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. ყველა ქალაქსა და რაიონში გაიმართა პარტიული აქტივის კრებები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების საერთო კრებები, რომლებიც მიეძღვნა სკკპ XXI ყრილობის შედეგებს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყეს პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორებისა და მომხსენებლების თათბირები და სემინარები.

მასობრივი ტირაჟით გამოცემულია პარტიის XXI ყრილობის მასალები ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე. შემუშავებულია ყრილობის მასალების შესწავლის სანიმუშო გეგმები და ლექციების თემატიკა. პარტიული განათლების მთელი ქსელი გადაყვანილია ყრილობის მასალების შესწავლაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონებში გაგზავნა პროპაგანდისტთა ჯგუფები. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტიკურ მოხსენებებს აკეთებენ ცენტრალური კომიტეტის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ აწყობენ თეორიულ კონფერენციებს, რომლებზეც ლაპარაკია მოცემული რაიონის, ქალაქის, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების შესახებ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნავს მომხსენებელი, ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ სკკპ XXI ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც დიდხანს უნდა მიმდინარეობდეს. ყრილობის მასალების შესწავლისა და ახსნა-განმარტების პირველ პერიოდში გამოვლინდა აგრეთვე ჩვენი პარტიული პროპაგანდის სუსტი მხარეები.

ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციები ყველგან ვერ უზრუნველყოფენ მის მაღალ იდეურ-თეორიულ დონეს. ზოგიერთ პოლიტსკოლასა და სემინარში მეცადინეობის ხარისხი დაბალია. მაგალითად, რა დადებითი შედეგები უნდა მოჰყოლოდა მეცადინეობას, რომელიც მოეწყო კასპის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან შექმნილ წრეებში? აქ პროპაგანდისტები იმას დასჯერდნენ, რომ მსმენელებს გაზეთიდან უკ

რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე

მიერ დასახული ამოცანების დონეზე

„მოუწოდებენ რა [illegible] რი მშენებლობის ბეგმების შესრულებისაკენ, პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ნათელი და გასაგები ფორმით უნდა განმარტონ, თუ რა არის კომუნიზმი, რა დიდი სიკეთე მოაკვს მას ადამიანებისათვის, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და განავითარონ შრომის კომუნისტური ფორმები. პარტიის ორგანიზატორულმა და აღმზრდელობითმა მოღვაწეობამ, მისი იდეოლოგიური მუშაობის უფალა საშუალებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას“.

სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციიდან.

მიაპყრონ საბჭოთა თემატიკისადმი მიძღვნილი ფილმების შექმნას, მიაღწიონ კინოსურათების მაღალხარისხოვან და რიტმულ გამოშვებას.

მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში, — ამბობს შემდეგ ამხ. დოლიძე, — ჰეტად საპატიო ადგილი უჭირავს ხელოვნების ისეთ ჟანრებს, როგორიც არის მუსიკა და სახვითი ხელოვნება. ქართველ კომპოზიტორთა და მხატვართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებნი, რომლებიც გულთბილად და სიყვარულით მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ამასთანავე ჩვენი ხალხი სავსებით კანონიერად მოელის მათგან მეტ კარგ სიმღერებს, ოპერებს, მეტ შესანიშნავ მხატვრულ ტილოებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანის საგმირო საქმეებს, მის შრომას იმ დიადი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა.

ორი წლის შემდეგ, 1961 წლის თებერვალში, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იდღესასწაულებენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. უკვე ახლა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა ფართოდ უნდა გააჩაღონ შემოქმედებითი მუშაობა, რათა ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით აღნიშნონ ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული.

— ეჭვი არ არის, — ამბობს დასასრულ ამხ. დოლიძე, — რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, მიაღწევენ იმას, რომ იდეოლოგიურ მუშაობას კიდევ უფრო დიდი გაქანება მიეცეს, მაღალ დონეზე წარმოებდეს და აქტიურად უწყობდეს ხელს სკკპ XXI ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებას.

* * *

მოხსენების გამო კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებისათვის ახლა არ არსებობს იმაზე უფრო პასუხსაგები და საპატიო ამოცანა, ვიდრე სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და მათი თეორიული სიმდიდრისა და პრაქტიკული მნიშვნელობის გაცნობა თვითეული მშრომელისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ნ. ე. ჭახრაკიამ** ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან, რათა ღრმად განუმარტონ მშრომელებს სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანები. ამ მუშაობამ თავიდანვე ფართო, ცხოველი და შემოქმედებითი ხასიათი მიიღო, კონკრეტული გახდა, კიდევ უფრო მიუახლოვდა ცალკეული კოლექტივებისა და მთლიანად ქალაქის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ცხოვრების ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად პარტიული ორგანიზაციები აუმჯობესებენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. შინაარსიანი, მიზანსწრაფული საუბრების მოწყობის დადებითი გამოცდილება აქვთ კამოლ-მაუდის კომბინატის, თამბაქოს ფაბრიკების, საინსტრუმენტო ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს საგიტაციო მუშაობის პრაქტიკაში. აქ აგიტატორები წინასწარ არკვევენ, თუ რა საკითხები აინტერესებთ მათს მსმენელებს, და შემდეგ აგროვებენ მორიგი საუბრისათვის კონკრეტულ ფაქტებს, მაგალითებს მშობლიური საწარმოს, ქალაქის, რესპუბლიკის ცხოვრებიდან.

აგიტატორებისა და პროპაგანდისტების დასახმარებლად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ეწყობა აგიტკოლექტივების სემინარები. სემინარებზე გამოდიან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში შედის თეორიული კონფერენციები ჩვენი პარტიის თეორიისა და ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, წარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ვაჭრობის ეკონომიკის საკითხებზე. კონფერენციები იდეური დონის ამაღლებისათვის კომუნისტთა დამოუკიდებელი მუშაობის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმაა.

— აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები, — თქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **მ. შ. ხვარწკიამ**, — მთელ მასობრივ-პოლიტიკურ, ორგანიზატორულ მუშაობას აგებენ იმ კონკრეტული ამოცანების გარშემო, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის მშრომელების წინაშე შვიდწლედში. 10 ათასზე მეტი აგიტატორი და პროპაგანდისტი ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მოსახლეობაში. 16 ათასზე მეტი კომუნისტი და 5 ათასი უპარტიო სწავლობს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს წრეებში, პოლიტსკოლებში და თეორიულ სემინარებზე. პარტიის საოლქო კომიტეტმა რესპუბლიკის რაიონებში გაგზავნა 150 ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი სკკპ XXI ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებების გასაკეთებლად.

ორატორი აღნიშნავს, რომ პარტიის XXI ყრილობის მასალების პროპაგანდაში დიდი როლი უნდა შეასრულოს პრესამ. მაგრამ საოლქო გაზეთები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნებს. მათ ფურცლებზე ცოტა იბეჭდება თეორიული სტატიები ყრილობის მასალების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **ლ. მ. დავითაძე** ამბობს, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა კონკრეტულობა, მიზანსწრაფულობა იდეოლოგიურ მუშაობაში.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები პარტიის XXI ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდის საქმეში. 8 ათასზე მეტი აგიტატორი, პროპაგანდისტი, ლექტორი და მომხსენებელი აცნობს მშრომელებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას ყრილობაზე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს. 13 ათასი კომუნისტი სწავლობს ყრილობის მასალებს წრეებში და სემინარებზე, აგრეთვე დამოუკიდებლად. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა თეორიული კონფერენციები.

— ჩვენ ვისაკრაფვით,—ამბობს ამხ. დავითაძე, — რომ აგიტაცია და პროპაგანდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, იყოს ცხოველი, შემოქმედებითი, მებრძოლი. ჩვენ ცოტა როდი გვყავს აგიტატორები და პროპაგანდისტები, რომლებიც უნარიანად, საინტერესოდ წარმართავენ მუშაობას, უკავშირებენ თეორიული მასალების შესწავლას ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანებს. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელ წრეში მეცადინეობა დაეხმარა ბათუმის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის არტელის კოლმეურნეებს გამოევლინებინათ და აემუშავებინათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის გამოუყენებელი რეზერვები.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებას.

სკკპ XXI ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდასა და შესწავლაში გაჩაღებულ მუშაობაზე ილაპარაკა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. კ. ჯოევმა.**

პარტიის საოლქო კომიტეტთან და რაიკომებში მოეწყო აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საინსტრუქციო თათბირები, რომლებზეც მათ გააცნეს შვიდწლედში ოლქის წინაშე დასახული ამოცანები. საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წაკითხულ იქნა 250-ზე მეტი მოხსენება და ლექცია სკკპ XXI ყრილობის მასალების შესახებ.

პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლაში ფართო გავრცელება ჰპოვეს თეორიულმა სემინარებმა. დიდი ყურადღება ექცევა კომუნისტთა მიერ XXI ყრილობის მასალების დამოუკიდებლად შესწავლას. მათთვის მოეწყო ლექციების ციკლის წაკითხვა ყრილობაზე წამოყენებული აქტუალური თეორიული პრობლემების შესახებ.

ორატორი ამბობს, რომ თუმცა ოლქში გაწეულია გარკვეული მუშაობა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების დარგში, მაგრამ იგი საკმაო როდია ახლანდელი ამოცანების დონემდე იდეოლოგიური მუშაობის ამაღლებისათვის. მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პარტიის საოლქო კომიტეტი ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს. კერძოდ, ეწყობა სამდღიანი სემინარები შტატგარეშე ლექტორებისათვის, სემინარები ცალკეულ თეორიულ პრობლემებზე პოლიტიკური მომხსენებლებისათვის.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტკომის მდივანი **ს. ა. აბზიანიძე** ლაპარაკობს დიდ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის ამ უდიდესი საწარმოს კოლექტივის წინაშე. შვიდწლედში რამდენჯერმე გადიდდება ავტომობილების გამოშვება.

ითვალისწინებს რა ამას, პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას წარმართავს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის, ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მოძრაობის განვითარებას. ქართველმა ავტომობილმშენებლებმა გამოიჩინეს პატრიოტული ინიციატივა და რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებს მოუწოდეს გააჩაღონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის, სახელმწიფო სახსრებისა და მასალების რაციონალური ხარჯვისათვის.

საწარმოო ლმავლობას, შემოქმედებითი აქტივობის ზრდას ხელს უწყობს ფართოდ გაჩაღებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. 450-ზე მეტი აგიტატორი აცნობს ქარხნის მშრომელებს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს კომუნისტების პოლიტიკურ თვითგანათლებას, მათს შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ამჟამად პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობს დაახლოებით 2 ათასი კომუნისტი და კომკავშირელი.

შვიდწლიანი გეგმის პროპაგანდისათვის ვიყენებთ ძირეულ პრესას. კედლის გაზეთები, „ელვა“ ფურცლები ხელს უწყობენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას იმ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებიც იკისრეს ცალკეული საამქროების, ცვლების, ბრიგადების კოლექტივებმა, მუშებმა.

თათბირის მონაწილენი თავიანთ სიტყვებში აღნიშნავენ მშრომელების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდ მნიშვნელობას.

— იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, — თქვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **გ. ს. ძოწენიძემ**, — საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შეიარაღება კომუნისტური მსოფლმხედველობით.

ყრილობის მასალებს ცოცხალი ინტერესით სწავლობს უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი. ეწყობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხების საღამოები, ლექციები და მოხსენებანი სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, რომლებიც ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

— XXI ყრილობამ, — ამბობს ამხ. ძოწენიძე, — უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას შრომისმოყვარეობის სულისკვეთებით, მათს ჩამოყალიბებას კომუნისტური საზოგადოების შეგნებულ წევრებად, რომლებსაც უნარი აქვთ იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად. ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები, რათა ჩვენი სტუდენტები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაგვება. მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს დენდროლოგიური პარკის გაშენებაში თბილისის ზღვის ნაპირზე, თბილის-ბაქოს გზატკეცილის გამწვანებაში, თავიანთი წვლილი შეაქვთ ყარადაღ-თბილისის გზასადენის მშენებლობაში.

მაგრამ ეს დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. ჩვენთან კიდევ არის სტუდენტთა ხულიგნობის, ამორალური ქცევის, უღირსი ყოფაქცევის შემთხვევები. ეს არის სტუდენტ ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ არასაკმაო პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი. ჩვენ ცოტას ვზრუნავთ, რათა სტუდენტები აღვზარდოთ მაღალი დისციპლინიანობის, საკუთარი თავისა და საკუთარი ამხანაგებისადმი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობა, ამბობს ორატორი, არის საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კადრების სწორი შერჩევა. მაგრამ მათ შორის ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე მოუმზადებელი ადამიანები.

სიტყვას ამბობს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე **ა. ვ. დარახველიძე.** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ყოველდღიური მუშაობა, ამბობს იგი, გამსჭვალული უნდა იყოს შემოქმედებითი, საბრძოლო შინაარსით, რომელიც შეეფერება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ახალ პერიოდს.

სტუდენტებისათვის ეწყობა ლექციები, მოხსენებანი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ადამიანის მორალური სახის შესახებ და სხვა თემებზე. ლექციურ პროპაგანდაში დიდი ადგილი უჭირავს საკითხებს, რომლებიც აშუქებენ შვიდწლიანი გეგმის დიად ამოცანებს. ეწყობა შემოქმედებითი საღამოები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მონაწილეობით. იმართება სამეცნიერო სესიები ბაქოსა და ერევნის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებთან ერთად.

ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების საქმეში, ხელს უწყობენ ახალგაზრდობის აღზრდის გაუმჯობესებას.

სიტყვა ეძლევა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგეს **ს. ლ. ბერაძეს.** იგი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიური მუშაობა, მთელი მისი შინაარსი და მიმართულება ამჟამად განისაზღვრება პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით. კათედრის წევრები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, საგნების სწავლების პროცესში ხელმძღვანელობენ პარტიის ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. იგი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა შევადგინოთ და გამოვცეთ პოლიტეკონომიის შესწავლის ახალი პროგრამა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **თ. გ. ბადურაშვილმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს ახლა თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდა.

ამხ. ბადურაშვილი ლაპარაკობს პროპაგანდისტების, ლექტორების, აგიტატორების სწორად შერჩევის დიდ მნიშვნელობაზე. ისევე როგორც ყოველ საქმეში, იდეოლოგიური მუშაობის წარმატებას კადრები, ადამიანები წყვეტენ. საჭიროა აღვზარდოთ ისეთი იდეოლოგიური მუშაკები, რომლებიც თავისუფლად გაერკვევიან და შემოქმედებითად გადაწყვეტენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს, რომლებსაც უნარი ექნებათ წარმტაცად და გასაგებად განუმარტონ ახალგაზრდობას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები.

კომკავშირული ორგანიზაციები გადაჭრით უნდა ეწეოდნენ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ. ჩვენს ახალგაზრდობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად გვხვდება შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების, ლოთობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი უპატივცემლობის, რელიგიური ცრურწმენის ფაქტები და სხვ. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გააქტიუროთ მუშაობა ამ მიმართულებით, გადაჭრით ვიბრძოლოთ ჩვენი ახალგაზრდობის წრეში უცხო შეხედულებებისა და ჩვევების შეღწევის წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. **დ. ი. ჩხიკვიშვილმა** ილაპარაკა რესპუბლიკის კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების მუშაობაზე. ბევრი მათგანი ქმედითს დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს მშრომელებში კულტურული, საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლაში. მაგრამ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში არცთუ ცოტა ნაკლია.

მთელი რიგი თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივები, კულტურის სახლები, კლუბები დგამენ პიესებს, რომლებიც მხატვრული და იდეური შინაარსით დაბალ დონეზე დგანან. რესპუბლიკაში მოცეკვავეთა და მომღერალთა 1.000-ზე მეტი კოლექტივია, რომელთა ნაწილს შემთხვევითი, მოუმზადებელი ადამიანები ხელმძღვანელობენ. ისინი „ნოვატორობის“ სახით ამ კოლექტივების რეპერტუარს ავსებენ მდარე ნაწარმოებებით, რომლებსაც ჩვენი ხალხის შესანიშნავ ეროვნულ ხელოვნებასთან საერთო არა აქვთ რა.

ამხ. ჩხიკვიშვილი ლაპარაკობს კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე, კულტურული მშენებლობის დიდ გაშლაზე, რაც რესპუბლიკაში განხორციელდება შვიდწლედში.

სკკპ XXI ყრილობამ ახლებურად დასვა ჩვენი ხალხური ხელოვნების განვითარების საკითხები. ამოცანა ის არის, რომ თვითმოქმედმა ხალხურმა ხელოვნებამ, მხატვრული დონის ამაღლების გზით, დიდი ხვედრითი წონა მოიპოვოს რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. უნდა შევქმნათ ახალი თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივები, საგუნდო კაპელები, სიმფონიური ორკესტრები.

ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ამ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა სახალხო თეატრები ლანჩხუთში, ჩრჯონიკიძეში, ბორჯომში, ცხაკაიაში, ლაგოდეხში, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. ასეთივე თეატრები გაიხსნება რუსთავში, ლენტეხის, მესტიის, ჩოხატაურისა და ონის რაიონების კულტურის სახლებთან.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე კინორეჟისორი **ს. ბ. დოლიძე.**

ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის მოღვაწენი ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე. ფილმებს „მანანას“, „ორ ოჯახს“, რომლებიც თბილისის კინოსტუდიამ ამ უკანასკნელ პერიოდში გამოუშვა, მაყურებელი გულგრილად შეხვდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სურათების შემქმნელნი დაშორდნენ ცხოვრების აქტუალურ, კარდინალურ პრობლემებს, ისინი გაიტაცა ვიწრო საყოფაცხოვრებო, საოჯახო კონფლიქტებმა. აღნიშნულ ფილმებში არა ჩანს მხატვრის ფიქრი ჩვენს დღეებზე, ჩვენს დროზე, ჩვენს ადამიანებზე, თუმცა ეს ფილმები გაკეთებულია თანამედროვე თემაზე.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე დამაჯერებლად და მკაფიოდ გაშლილია საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი წარმატებების დიდებული სურათი. მწერლების, ხელოვნების მუშაკების საპატიო მოვალეობაა მკაფიოდ და სრულად უჩვენონ თავიანთ ნაწარმოებებში დიდი გარდაქმნები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ხალხთა ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა წყობილების პირობებში, საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის მშენებლების თავდადებული ბრძოლა პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. საქართველოს როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტალური კინემატოგრაფია კომუნიზმის დიადი იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი უნდა იყოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რ. რ. დვალი** ამბობს, რომ ქართველი მეცნიერები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების დიდებული პროგრამის განხორციელება წარმოუდგენელია ისე, თუ ამაში აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს მეცნიერებმა, თუ შემდგომ ყოველმხრივ არ განვითარდა მეცნიერება **და ტექნიკა.** ჩვენი მეცნიერები შვიდწლედში დაამუშავებენ 80-ზე მეტ სამეცნიერო პრობლემას, რომლებსაც დიდი თეორიული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში არიან მეცნიერი მუშაკები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ვერ იძლევიან რამდენადმე მნიშვნელოვან მეცნიერულ პროდუქციას. აღმოფხვრილი არ არის ლიბერალიზმის ფაქტები ასპირანტურაში შემსვლელთა ცოდნის შეფასების, სამეცნიერო დისერტაციების დაცვის დროს.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მეცნიერებში სუსტია პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა. მეცნიერებათა აკადემიის პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველი ღონისძიებით უნდა გააუმჯობესოს იდეოლოგიური მუშაობა მეცნიერ მუშაკებში, აღზარდოს ისინი მაღალი პრინციპულობის, პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი **პ. ბ. გუგუშვილი** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ნ. ა. ჯავახიშვილი.**

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. ი. სნასტინი.** იგი შეეხო ზოგიერთ თეორიულ საკითხს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს.

პარტიის XXI ყრილობის მთავარი მნიშვნელობა, აღნიშნავს ორატორი, ის არის, რომ მან შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ეკონომიური პროგრამა, განსაზღვრა მისი განხორციელების ვადები და ტემპები. ყრილობამ გარკვეული ვრცელი პასუხი გასცა საკითხზე თანამედროვე პირობებში პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი ამოცანების, მიზნებისა და შინაარსის შესახებ. ყრილობის ეს მითითებანი ფართო პერსპექტივებს სახავენ და მტკიცე საფუძველს უქმნიან მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ახალ აღმავლობას.

მასების კომუნისტურ აღზრდას თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირველ რიგში იმიტომ, რომ პარტიის მიერ დასახული დიად სამუშაოთა გეგმის წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა საბჭოთა ადამიანის შეგნებული და აქტიური მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში. კომუნისტური აღზრდის საკითხებს პირველხარისხოვანი როლი იმიტომ ენიჭება, რომ კომუნიზმზე გადასვლა მოითხოვს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფალი იქნება წარსულის გადმონაშთებისაგან.

მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას ვუყენებთ, არის მისი მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, კომუნიზმის აშენებისათვის მასების პრაქტიკულ ბრძოლასთან. აი ამიტომ ვართ შორეული წარსულით გატაცების წინააღმდეგი, ვისწრაფვით, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა პასუხს იძლეოდეს დიდ ახალ კითხვებზე, რომლებიც თვით ცხოვრებამ დააყენა კომუნისტური მშენებლობის პროცესში.

ამხ. სნასტინი, ლაპარაკობს რა კომუნისტურ აღზრდასა და მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მიახლოებაზე, ეხება კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

არ უნდა დავივიწყოთ, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, რომ ბურჟუაზიული იდეები, სამწუხაროდ, ერთგვარ გავრცელებას პოულობენ ჩვენი საბჭოთა ადამიანების ერთ ნაწილშიც. ეს მოითხოვს მთელი იდეოლოგიური მუშაობის ყოველი ღონისძიებით გააქტიურებასა და გამახვილებას ჩვენს წრეში ბურჟუაზიულ შეხედულებათა გამხრწნელი გავლენის შემოღწევის წინააღმდეგ. ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ მის ყველა სახეობასა და გამოვლინებაში პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამხ. სნასტინი დაწვრილებით ლაპარაკობს XXI ყრილობის უდიდეს მნიშვნელობაზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრებისათვის.

ორატორი ახასიათებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანებს, რომლებიც XXI ყრილობამ დასახა, ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებითი ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. იგი ამბობს, რომ იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა და პირველ რიგში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებმა და პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ და ანალიზი გაუკეთონ ახალ პროცესებსა და მოვლენებს ჩვენს ეკონომიკაში, გასაგებად განუმარტონ მათი არსი მშრომელთა ფართო ფენებს.

ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ ამხ. სნასტინმა, რომ საქართველოს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა მრავალრიცხოვანი და კვალიფიციური რაზმი თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, მასების კომუნისტურ აღზრდაში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ს. დოლიძემ.**

რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მიმდინარეობდა დიდი აქტივობის ნიშნით. მან ცხადყო, რომ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, აღფრთოვანებულნი სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, ღრმად შეიგნებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. მზადყოფნით და თავიანთი ძალებისადმი რწმენით გამსჭვალულნი, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა მიაღწიონ მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაცხოველებასა და აღმავლობას, წარმართონ ივი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად. (საქრისი).

თათბირის მონაწილენი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მსოფლიოს 45 ქვეყანაში

საბჭოთა ტურისტები წელს იმოგზაურებენ მსოფლიოს 45 ქვეყანაში, განუცხადეს საკავშირო კორესპონდენტს საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალური ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოში.

საბჭოთა კავშირიდან ყველაზე მეტ მოგზაურს მიიღებენ ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი, უნგრეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ფინეთი, ინდოეთი. კერძოდ, ჩეხოსლოვაკიაში პირველად წავა ძეგლობრობის მატარებლები. ასეთი მატარებელი შვიდი იქნება. მოგზაურობის მოყვარულთ შესაძლებლობა ეძლევათ იმოგზაურონ იავონიაში, ეთიოპიაში, არგენტინაში, განაში, ერაყში.

მაისში ევროპის გარშემო პირველ რეისში გავა თბილისელი „პობედა“. პირველადაა გათვალისწინებული მოეწყოს რამდენიმე ექსკურსია ხმელთაშუა ზღვაში. ბევრი საბჭოთა მოგზაური დაათვალიერებს შემოდგომის სამრეწველო გამოფენას ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში.

მთელი რიგი პროფკავშირების სურვილის შესაბამისად გაიზრდება რიცხვი ტურისტული ჯგუფებისა, რომლებიც შედგება პროფესიათა მიხედვით. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წავლენ მშენებლები, ქიმიკოსები, მედიკები, რუმინეთში—მენავთობეები, ჩინეთში — მეტალურგები, შვეიცარიაში—გემმშენებლები, დანიაში — კვების მრეწველობის მუშაკები, საფრანგეთში, ავსტრალია და კანადაში — ენერგეტიკოსები. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კ. გ. ფოცხვერაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მისი დაკრძალვის მომზადების კომისია, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები ა. მაჭავარიანი (თავმჯდომარე), დ. მჭედლიძე, ბ. ლომიძე, გ. კოკელაძე და პ. ხუციშვილი.

საქართველოს სსრ მუსიკალურ ფონდს დაევალა მოამზადოს და გამოსცეს 1959-1961 წლებში კ. გ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებთა კრებული.

კ. გ. ფოცხვერაშვილის სახელი მიენიჭა ქალაქ თბილისის მეშვიდე მუსიკალურ სკოლას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა კ. გ. ფოცხვერაშვილის სახელი მიანიჭოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. კ. გ. ფოცხვერაშვილი დაიკრძალება დიდუბის პანთეონში. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

კულტურის ახალი კერები

ბასპი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც სოფელ მეტეხში დამთავრდა კულტურის სახლის მშენებლობა. მას აქვს მაყურებელთა დარბაზი 360 კაცისათვის, ფოიე, ოთახები სამკითხველოსა და წრეების მუშაობისათვის. ამჟამად რაიონშია ათი ბიბლიოთეკა, რვა სამკითხველო, თოთხმეტი კლუბი და სამი კულტურის სახლი. კასპში, მეცემენტეთა დასახლებულ უბანში, მიმდინარეობს 400-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა. წელს გათავლისწინებულია აგრეთვე სოფელ ქვემო ჭალაში ჯიხისნის კულტურის სახლი, გუდალეთში — ბიბლიოთეკა.

ყოველი მხრიდან

საბჭოთა დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 21 მარტი. (საკდესის კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც უნგრეთში იმყოფება და რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. არისტოვი დღეს შუადღემდე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანტალ აპროს თანხლებით ეწვია უნგრეთის ეროვნულ გალერიას და დათვალიერა იქ გამოჩენილი უნგრელი ოსტატების ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოებნი.

ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ და სხვა ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი გმირებისათვის ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიაში კერეპეშის სასაფლაოზე ბუდაპეშტში. ძეგლის გახსნაზე მოვიდნენ რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, უნგრეთის დედაქალაქის მრავალი ათასი მშრომელნი.

სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კაროი კიშმა. მან აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხი წმიდად ინახავს გულში მუშათა მოძრაობის სახელოვან მონაწილეთა ხსოვნას, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე შესწირეს მისი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უნგრეთის ბედნიერი სოციალისტური მომავლისათვის ბრძოლის საქმეს.

ძეგლის კვარცხლბეკზე დადეს გვირგვინები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისაგან, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისაგან, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების დელეგაციებისაგან, პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ქალაქის მშრომელებისაგან.

საღამოს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები დაესწრნენ დიდ დარბაზობას, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა გამართა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ორმოცი წლისთავის გამო.

ა. სემიონოვი

სსრ კავშირის დელეგაცია ინგლისში

მანჩესტერი, 23 მარტი. (საკდესი). ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის მანჩესტერის მცხოვრებლები დიდი გულთბილობით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს მ. ა. სუსლოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრს ბ. ნ. პონომარიოვს, რომლებიც ორ დღეს იყვნენ აქ სტუმრად. მანჩესტერელთა მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა სტუმრებისადმი გამოვლინდა ყველგან, სადაც კი იყვნენ ისინი.

21 მარტს მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი იყვნენ სპპაჩიო სტუმრები საღამოზე, რომელიც მათ პატივსაცემად გამართა ქალაქის რატუშაში მანჩესტერის ლორდ-მერმა კოხსერვატიული პარტიის წევრმა ჯ. ფიტცსაიმონმა.

ჯ. ფიტცსაიმონმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მიმართა მისასალმებელი სიტყვით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა მანჩესტერელთა მეგობრული გრძნობები საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

საპასუხო სიტყვაში მ. ა. სუსლოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ლორდ-მერს გულთბილი მიღებისათვის, რომელიც საბჭოთა დელეგაციას გაუწიეს. ერთობლივმა ბრძოლამ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ, თქვა შემდეგ მან, დააახლოვა საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთის ხალხები. ჩვენ გულწრფელად ვართ დარწმუნებული, რომ ეს თანამშრომლობა ჩვენს ხალხებს მორის შეიძლება გაგრძელდეს და კიდევაც უნდა გაგრძელდეს მშვიდობიანი დროის პირობებში.

საბჭოთა ადამიანებს, თქვა მ. ა. სუსლოვმა, სურთ მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობა ყველა ხალხთან, მათ მორის იგულისხმეთ ხალხთან. ჩვენ გულწრფელად ვართ დარწმუნებული, რომ დიდი ბრიტანეთის მშვიდობისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს აგრეთვე სურს მშვიდობა.

მ. ა. სუსლოვმა წარმოთქვა ლორდ-მერის, მშვიდობისა და საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხალხთა მეგობრობის სადღეგრძელო.

მ. ა. სუსლოვის გამოსვლა დამსწრეებმა მოისმინეს დიდი ყურადღებით და მრავალგზის შეაწყვეტინეს მოწონების შეძახილებით.

მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი შემდეგ გაემგზავრნენ ლეიბორისტთა კლუბში დაბა დენტონში, დაახლოებით 11 კილომეტრზე მანჩესტერის აღმოსავლეთით. საბჭოთა დეპუტატების მოსვლის მომენტისათვის კლუბის შენობაში შეიკრიბა დენტონის ბევრი მცხოვრები. გულთბილ ვითარებაში გაიმართა მეგობრული საუბრები კლუბის წევრებთან, უმეტესად მანჩესტერის მუშებთან.

გუშინ მ. ა. სუსლოვმა და ბ. ნ. პონომარიოვმა ლორდ-მერის ჯ. ფიტცსაიმონის, პარლამენტის წევრების კონ ზილიაკუსის და უილიამ გრიფიტსის თანხლებით დაათვალიერეს მანჩესტერის ახალი საცხოვრებელი რაიონი უიტერშოუ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აქ შევიდნენ ღრმა მოხუცთა კლუბში, იყვნენ 70 წლის ინგლისელის ერნსტ სმიტის ბინაში.

მოგზაურობის შემდეგ მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი საუზმეზე მეგზდნენ საბითუმო კოოპერაციული საზოგადოების დირექტორებს კუიძსის და კუკს. საუბარში მოხაწილეობა მიიღო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ე. ბევანმა.

მოგვიანებით საბჭოთა სტუმრები დაესწრნენ ლეიბორისტული პარტიის დიდ მიტინგს, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ე. ბევანმა.

საღამოს მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი ლონდონში დაბრუნდნენ.

უცხოეთის ქრონიკა

◆ გუშინ მოსულიდან ბაღდადს ჩამოვიდა ერაყელ პატრიოტთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების ჩახშობაში. ამის გამო ქალაქში გაიმართა დემონსტრაციები იმპერიალისტთა და მათ აგენტთა ხრიკებისა და შეთქმულებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დემონსტრატებმა გამოხატეს თავიანთი სიმპათია და მხარდაჭერა პრემიერ-მინისტრ ადელ ქერიმ კასემისადმი.

◆ „გაზეთი „ამარ ბპარათი“ წერს, რომ არსებული ცნობების მიხედვით, ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მთავრობების ამარტებში მოელიან წმენდის კამპანიას.

მაგალითად, თურქეთში სამსახურიდან ითხოვენ თანამდებობის პირთ, რომელნიც უკმაყოფილონი არიან მთავრობის პოლიტიკის გამო, პოლიტიკისა, რომლის მიზანია შეერთებულ შტატებზე კიდევ უფრო დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენონ თურქეთი.

მსოფლიო საზოგადოებრიობის დადებითმა გამოხმაურებამ საბჭოთა მთავრობის წინადადებებზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ მეტად ხელსაყრელი ვითარება შექმნა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ავტორიტეტიანი წარმომადგენლების ნაყოფიერი შეხვედრისათვის.

განწყობილება გერმანიის შესახებ საზავო მოლაპარაკების სასარგებლოდ სულ უფრო ცხადად იჩენს თავს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. „მე მიმაჩნია, — აცხადებს, მაგალითად, სენატის სავარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ფულბრაიტი, — რომ ჩვენ უნდა დავეთანხმოთ უმაღლეს დონეზე თათბირს, როგორც ჩვენი დიპლომატიური მოლაპარაკების განუყოფელ ნაწილს“. „ბერლინის საკითხი პროპაგანდის სფეროდან უნდა გადავიტანოთ მოლაპარაკების სფეროში“, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი.

მოლაპარაკების იდეას მხარი დაუჭირა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. მართალია, რადიოთი და ტელევიზიით თავისი ამსწრანადელი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მან მიუძღვნა შეერთებული შტატების „უფლებებსა და მოვალეობებს“ დასავლეთ ბერლინში და ამერიკის შორიმოქმედების ბომბდამშენთა „დაკვრითი ძალის“ შექმნას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეიზენჰაუერმა განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები მზად არიან აწარმოონ მოლაპარაკება საბჭოთა წარმომადგენლებთან ყოველ დროს და ყოველ ვითარებაში“, ამერიკის შეერთებული შტატები ყველაფერს გაკეთებენ, „რაც მათზე დამოკიდებულია, რათა უზრუნველყონ სერიოზული და ნაყოფიერი მოლაპარაკება“. უცხოთის პრესა, კომენტარს უკეთებს რა ეიზენჰაუერის ამ განცხადებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საჭიროდ დაინახა გამოეთქვა იმედი, რომ მალე მოეწყობა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, და არ უარუყვია უმაღლეს დონეზე თათბირის შესაძლებლობა.



ატომური დაფითა და ნაღარით

ნახატი ი. ჭოჭიაშვილისა.

უახლესი მომავალი დაგვანახვებს, გამოხატავს თუ არა ასეთი იმედის გამოთქმა ამერიკის შეერთებული შტატების თავმჯდომარეობის გულწრფელ მისწრაფებას გერმანიის საკითხის დადებითი გადაჭრისადმი. მაგრამ ცხადია ერთი რამ— ახლა უკვე ვერ აღწევს მიზნს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი სამხედრო ხელმძღვანელის პოლიტიკა, რომლებიც საჯაროდ უკეთებენ რეკლამას „ბერლინის გზაზე ბრძოლის“ გეგმებს.

იარაღის ჩხარუნს, რასაც ამ ბოლო დროს მიმართავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსები გენერლები უაიტი და ბერკი, მკაცრად გმობენ როგორც შეერთებულ შტატებში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. „განა ეს პოლიტიკაა? — წერდა დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთი „ნოიე რაინ-�აიტუნგი“.—განა ეს პასუხია მოსკოვის დაბეჯითებითს მოწოდებაზე, რომ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას? ეს ყალბი ბანქოს თამაშია“.

ამერიკელი გენერლებისა და ადმირალების გეზი საბჭოთა კავშირის დაშინებისა ჩაიფუშა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შტაბების ხელმძღვანელთა შეთქმულება დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის წინააღმდეგ აშკარად მარცხით დამთავრდა.

19 მარტს პრეს-კონფერენციაზე კრემლში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ომში ჰიტლერული გერმახიის წინააღმდეგ, მოაწესრიგონ ომიმწიფებული პრობლემები, დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. „ჩვენ გვინდა, — განაცხადა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, — რომ დასავლეთის მთავრობებმა უკუთავდონ თავიანთი გენერლებისა და ადმირალების უგუნური მუქარა ჩვენი ქვეყნის მიმართ და ჩვენთან ერთად მოუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. თუ მთ მაქვთ გონივრული წინადადებანი, ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ისინი ჩვენს წინადადებებთან ერთად“.

ხალხები მოელიან და იმედი აქვთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში კეთილგონიერება გაიმარჯვებს ავანტიურიზმზე და რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი გამოვა ხელოვნურად შექმნილი „კრიზისის“ სტადიიდან და საქმიანი განხილვის საგანი გახდება.

* * *

საფრანგეთის მუნიციპალურმა არჩევნებმა, რაც 15 მარტს დამთავრდა, კვლავ ცხადყო, რომ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მაჟორატარული საარჩევნო სისტემა იმისათვის შემოიღეს, რომ ეს სისტემა დაეხმაროს რეაქციას დაამახინჯოს ფრანგი ხალხის ნამდვილი პოლიტიკური განწყობილებანი და თავს მოახვიოს მას ყველაზე მემარჯვენე ელემენტების ბატონობა.

მაგრამ რეაქციულმა საარჩევნო სისტემამ ხელი ვერ შეუშალა საფრანგეთის მშრომელებს გამოეთქვათ თავიანთი უკმაყოფილება სიღატაკის და ომის პოლიტიკის გამო, რომელსაც მმართველი წრეები ახორციელებენ. „ვერც კაპიტალის ძლიერებამ, — წერს გაზეთი „ლუმანიტე“, — ვერც ეპისკოპოსთა ზემოქმედებამ ამომრჩევლებზე, ვერც მორჩილი რადიოს აღვირახსნილმა პროპაგანდამ ვერ მოუტანა სასურველი შედეგები რეაქციონერებს — ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის პარტიის ავანტიურისტებს პინეს პარტიიდან და კლერიკალებს „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიიდან. ხალხის მასები უარყოფენ მათს პოლიტიკას, და ეს უწინარეს ყოვლისა იმით გამოვლინდა, რომ მემარცხენე ძალები მთელ რიგ რაიონებში ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ რეაქციის წინააღმდეგ.

უკანასკნელი 12 წლის მანძილზე კომუნისტების, სოციალისტებისა და სხვა რესპუბლიკელთა მემარცხენე ძალების გაერთიანებული სიები აღარ ყოფილა არჩევნების დროს საფრანგეთში. ეს სიები კვლავ გაჩნდა მხოლოდ მარტის დღეებში — მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის დროს. და არა მარტო გაჩნდა, არამედ წარმატებაც მოიპოვა მთელ რიგ კომუნებში. ამ წარმატებამ კი, რომელიც მიღწეულია სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობის გამოშვლილი დირექტივების წინააღმდეგ, გამოიწვია საფრანგეთში მასების უდიდესი ენთუზიაზმი, გაამლიერა მათი მისწრაფება ერთიანობისადმი რეაქციის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დასაწყისია, — წერს „ლუმანიტე“, — მაგრამ უკვე ახლა ათეულ ათასობით სოციალისტი და სხვა დემოკრატი უარყოფს თავიანთი პარტიების დამღუპველ კურსს რეაქციასთან. გაზაფხულის ჯეჯილს მოსავლის კარგი პირი უჩანს“.

ვ. ლინეცკი.

საერთაშორისო მიმოხილვა

მოლაპარაკება უნდა მოეწყოს. ◆ ძვრა საფრანგეთის მემარცხენე ძალების თანამშრომლობაში

* * *

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა პარიზის გარეუბან ენენიში, გუშინ დაამთავრა მუშაობა. პლენუმმა მიიღო რეზოლუცია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს მოხსენების გამო მუნიციპალური არჩევნების შედეგებისა და პარტიის ამოცანების შესახებ. პლენუმმა აგრეთვე მოიწონა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის რაიმონ გიუიოს ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგანგებო XXI ყრილობაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის გამგზავრების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატ როჟე გაროდის მოხსენება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობისათვის თეზისების პროექტის შესახებ, აგრეთვე განიხილა მომავალი ყრილობის დღის წესრიგი.

პლენუმმა გადაწყვიტა მოიწვიოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა პარიზის გარეუბან ივრში 1959 წლის 27-დან 31 მაისამდე. ყრილობა მოისმენს და განიხილავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მორის ტორეზის მოხსენებას, „დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის მუშებისა და რესპუბლიკური ძალების კავშირის შესახებ“, აგრეთვე აირჩევს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს.

უნგრელი ხალხის დღესასწაული

ბუდაპეშტი, 21 მარტი. (საკდესი). უნგრელი ხალხი დღეს აღნიშნავს თავის დიდ დღესასწაულს— უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების ორმოცი წლისთავს. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა, რომელებიც დღეს სადღესასწაულოდ გაფორმებული გამოვიდა, მრავალი მასალა მიუძღვნა ამ ღონისძიებას.

გაზეთი „ნეფსაბადშაგი“ აქვეყნებს უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლების ბელა კუნის, ეიე ლანდლერის, ტიბორ სამუელის სიტყვების ნაწყვეტებს, ვ. ი. ლენინის მისალმების ნაწყვეტებს, რომლითაც მან უნგრელ მუშებს მიმართა 1919 წლის 27 მაისს, აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის ვეტერანთა მოგონებებსა და სხვა მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან.

მტკვრის ნაპირებზე

მარჯვნივ, ღრმა, მიხვეულ-მოხვეული ხეობის ზედ ფსკერზე, ხეობისა, როლიც სწრაფად ძიჭრის ჩვენი ყველგანმავალი მანქანა, გაზაფხულის ხმაზე ქუხს ტტკვარი. მზის კაშკაშა სხივების შუქზე მისი ცივი ნაკადი კიდევ უფრო გაშკვირვალე, თითქმის ცისფერი ეჩვენება ადამიანს. ადგილ-ადგილ მდინარე მთელი ძალით ასკდება კლდის მკერდს, თითქოს მისი შემუსვრა უნდოო, მაგრამ, გრანიტის სიძაგრეს რომ ვერაფერს აკლებს, ღრიალით უქცევს გვერდს და ფართოდ ღვრება რიყეზე. გზაც თითქოს მიბმულია ტტკვარზე. ზოგჯერ გვგონია, ჩვენც კლდეს უნდა შევასკდეთო, მაგრამ გამოცდილი მესაზღვრე შოფერი დროზე ასწრებს სუბის მობრუნებას.

ძლავრ ქედებს იქით, რომელთა მწვეტკალები მოვარდისფრო თოვლიან ბურუსში იფარება, ჩვენგან სულ რამდენიმე კილომეტრს იქით იწყება სხვა საძყარო, უცხო მიწა. იქ თურქეთია...

ჩემი თანამგზავრი და მეგზური — ტანადი მესაზღვრე ოფიცერი გრიგოლ ანდრიას-ძე პტიციი — დინჯად ოთხთრობს ამას წინათ მომხდარ ამბავს, რომელმაც მაიძულა შორ გზას გავდგომოდი, რათა მენახა ადგილები, სადაც ყველაფერი ეს მოხდა.

— აი იქ, ჩვენს პირდაპირ რომ ხეობაა, — დაიწყო გრიგოლ ანდრიას-ძემ, როცა მანქანა გაჩერდა მტკვარზე გადაკიდებული პატარა მერყევი ხიდის ახლოს, — თვალ საღამოს მესაზღვრემ ორი უცნობი შენიშნა. ისინი ფრთხილად მოიპარებოდნენ ხიდისაკენ. ჯარისკაცმა უცნობები სამოცდაათ მეტრზე მოუშვა და შესძახა: „შესდექ, ვინ მოდის!“. „შინაურები ვართ!“ — გაისმა სიბნელეში. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ მესაზღვრისაკენ წამოსულიყვნენ, უცნობები მთებში გაიქცნენ. მესაზღვრე დაედევნა მათ. მაგრამ სიბნელემ და სქელმა ნისლმა ხელი შეუწყო გაქცეულებს მიმალულიყვნენ.

გრიგოლ ანდრიას-ძე ხიდს გადადის და ხეობისკენ მიდის, რათა მაჩვენოს ადგილი, სადაც პირველად გამოჩნდნენ დამრღვევები. ჩემი თანამოსაუბრე, რომელიც მათი შეპყრობის ერთ-ერთი მონაწილე იყო, დაწვრილებით მიამბობს, როგორ მოხდა ეს.

საეკვო ადამიანების გამოჩენის ადგილზე გამოწვეული იქნა მაძიებელი ჯგუფი. სხვებს შორის ჯგუფში იყვნენ ახალგაზრდა მესაზღვრეები ბორის ზაპოროჟსკი და ანატოლი მიხაილოვი. მეორე მთგანმა თან მოიყვანა მაძებარი ძაღლი ნაყდაკი.

— კვალი მოძებნე! — დაუყოვნებლივ უბრძანა ნაყდაკს მესაზღვრემ. ძაღლმა დაყნოსა ბუჩქები და ქვები, სადაც უცნობებმა გაიარეს, მთებისაკენ გაიწია და გაიყოლია პატრონი. კვალი პირდაპირ კი არ მიდიოდა, არამედ მიხვეულ-მოხვეულად, და ამიტომ მესაზღვრეები უფრო მეტად ფრთხილობდნენ. ანატოლი მიხაილოვმა, რომელიც აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვებოდა სწრაფად მიმავალ ოთხფეხ მეგობარს, ძალიან ბაუსწრო სხვა ამხანაგებს, და მხოლოდ ბორის ზაპოროჟსკი მისდევდა კვალდაკვალ.

მყუდრო, უკუნეთი ღამე იყო. ბილიკი მისდევდა ციცაბო ხრამს, რომლის ქვემოდან ძლიან მოისმოდა მტკვრის ხმაური. მეგობრები აწყდებოდნენ ქვებს, ვარდებოდნენ ორმოებში, მაგრამ განაგრძობდნენ დევნას. უკვე საათზე მეტია, რაც მთებში მიდიან, მაგრამ ჯერჯერობით საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. კვალი, რომელსაც სიბნელეში მიჰყვებოდა ნაყდაკი, ბოლოს გავდა ძლინარესთან და გაუყვა ნაპირს, დინების საპირისპიროდ. შემდეგ ისევ გაუხვია. ძაღლმა მაგრად დაჭიმა თასმა და ციცაბო ფერდობისაკენ გაიყოლია მიხაილოვი.

...ოფიცერმა პტიცინმა თავის წინ ხელით მაჩვენა, როცა ჩვენი მანქანა კვლავ გაჩერდა. ფრიალო მთა, რომელზეც მდევრები ხოხვით მიდიოდნენ უკვე სამი-ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული იმ ადგილს, სადაც პირველად აღმოაჩინეს კვალი. ფერდობს იქით ბუჩქები მოჩანდა.

ამ ბუჩქებიდან, როცა მესაზღვრეები მათ მიუახლოვდნენ, ხედიხედ გავარდა პისტოლეტი. მეგობრები ჩაწვნენ. ტყვეები ტაკაუნით ხედებოდა ქვებს იქვე ახლოს.

— აი ვინ ყოფილხართ, საზიზღრებო! — წამოიძახა მიხაილოვმა და ბუჩქებს ავტომატის გრძელი ჯერი დაუშინა. მას უნდოდა ეგრძნობინებინა მოწინააღმდეგისათვის, რომ წინააღმდეგობა უსარგებლო იყო. ზაპოროჟსკიმ ამასობაში ფლანგიდან ხოხვით. შემოუარა და უბრძანა დანებებულიყვნენ. მოწინააღმდეგეები არ დაემორჩილნენ, კვლავ დაიწყეს უკანდახევა. და მესაზღვრეებმა აქ მთების ფონზე პირველად დაინახეს სილუეტები ორი ადამიანისა, რომლებიც მირბოდნენ: ერთი მთგანი გამხდარი და-მაღალი იყო, მეორე — დაბალი, ჯმუხი.

— აი ისინი! — შესძახა მიხაილოვმა.

— აბა, ნაყდაკ, დაეწიე!

ძაღლი არ ამდგარა. იგი ილოკავდა თათს, რომლიდანაც სისხლი მოსდიოდა. ანატოლიმ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ნაყდაკი დაჭრილი იყო. ჯარისკაცმა პერანგს თეთრი ზოლი მოახია და ძაღლს ჭრილობა შეუხვია.

მტრებმა ისარგებლეს სიბნელით და მოასწრეს დაშორებოდნენ მდევრებს. მაგრამ მესაზღვრეებმა ნაბიჯს აუჩქარეს და კვლავ დაეწიენენ გაქცეულებს. დამრღვევებმა ხელახლა ატეხეს სროლა. ნაყდაკი მეორედ დაიჭრა და დაეცა. მიხაილოვი ალარ ჩაადგა საფრთხე და კვლავ სწრაფად გარბოდა იქითკენ, საიდანაც ისროდნენ. უნდოდა მტრისათვის გადაეჭრა ტყისაკენ მიმავალი გზა.

ამასობაში მამაცი მდევრების დასახმარებლად მოვიდა მესაზღვრეთა მეორე ჯგუფი ოფიცერ ვლადიმერ სვეტილკოს მეთაურობით, მოვიდნენ აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები, რომლიდანაც სისხლი მოსდიოდა. ანატოლიმ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ნაყდაკი დაჭრილი იყო. ჯარისკაცმა პერანგს

მესაზღვრეები ბ. ზაპოროჟსკი და ა. მიხაილოვი.

* * *

კეები. უკვე თენდებოდა, და მთელმა სასაზღვრო რაიონმა იცოდა, რაც მოხდა. მტრების გამოჩენამ ყველა შეაშფოთა. ადამიანებმა დაივიწყეს ძილი და მტრების შესაპყრობად გამოვიდნენ. დაიწყო თვითეული ბუჩქის ჩხრეკა. ათვალიერებდნენ თვითეულ ორმოს, თვითეულ ქვას.

— ვიპოვნე ბუნაგი! — გახარებულმა წამოიძახა მიხაილოვმა, როცა დაინახა პატარა გამოქვაბული და შიგ ახალი გაფხეკნილები ხავსზე, რაღაც საჭმლის ნამეცეები. — აი კვალიც!

ბუჩქებში ვიღაცამ აიღო კეპი, შემდეგ ეპოვნეს დაგდებული ბაბამბული ჯუბა. ჩანს, დამრღვევებისათვის ადგილი როდი იყო მესაზღვრეებისგან გაქცევა, რაკი ასეთ საჭირო ნივთებს კარგავდნენ. მალე ხშირ ლელიანში, რომელიც გარშემორტყმული ჰქონდა პატარა ტბას, ნახეს ორი პისტოლეტი, ფოტოაპარატები, ფული, ხოლო შემდეგ წყლიდან ამოიყვანეს საზღვრის დამრღვევნიც — დასვლელებული, ქანცგამოლეული, უბადრუკები. დაღლილობის გამო ისინი მუხლში ვერ იმართებოდნენ, ხელით ეჭირათ ფეხზე მდგომნი: ღაძის გახძავლობაში ასე მოქაცეს ისინი მიხაილოვმა და ზაპოროჟსკიძ... .

ჩვენ მივედით ამ ტბასთან. მტკვარს იქით ფერდობზე დავინახე ყვითელი ლელი, ოომლიდანაც ამოფოფინდა გაოცული იხვების ვუნდი.

— იქ ძაშიაც იყო ერთი ბუდე. იხვები, — შენიშნა ოფიცერმა. — მაგრამ დამრღვევები ისე ჩუმად ისხდნენ ლელში, რომ არც კი დაუფრთხიათ ფრთხილი ფრინველები...

—ვინ იყვნენ ისინი, ეს დამრღვევები? — დავიტეხეს მე.

— პირველ დაკითხვაზე თქვეს ადგილობრივი მცხოვრებლები ვართო და პასპორტებიც კი წარმოადგინეს, — გახმარტა გრიგორ ანდრიას-ძემ. — იარაღსა და სხვა ჯაშუშურ საკურველზე ცივი უარი თქვეს: ჩვენი არ არისო. ასეთი ლეგენდაც კი შეთხზეს: ორი ვიღაც უცნობი იყო, მათ ლელში დაყარეს მთელი ეს ქონება, თვითონ კი აი იქით გაიქცნენო! — გაიღიმა მესაზღვრემ და ხელით ანიშნა მთებს იქით, თურქეთის მხარეს. — ერთი სიტყვით, ჩვენ არა ვიცით რა, დაგვეხსენითო...

საგუშაგოზე რომ ვბრუნდებოდით, ჩემმა თანამგზავრმა სიამაყით მაცნობა, რომ დამნაშავეთა შეპყრობის დროს მაცოფხისა და უნარიანი მოქმედებისათვის მესაზღვრეები ანატოლი მიხაილოვი და ბორის ზაპოროჟსკი დაჯილდოებული არიან წითელი ვარსკვლავის ორდენებით